



მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასა და
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტროს შორის

ქ. თბილისი

2014 წლის 7 აპრილი

ერთი მხრივ, სსიპ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია (შემდგომში „აკადემია“), წარმოდგენილი მისი პრეზიდენტის, გიორგი კვეციტაძის სახით და, მეორე მხრივ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო (შემდგომში „სამინისტრო“), წარმოდგენილი მინისტრის, დავით ნარმანიას სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს კანონმდებლობით, ხელს ვაწერთ წინამდებარე მემორანდუმს თანამშრომლობის შესახებ.

მუხლი 1. მიზანი და საგანი

მჭიდრო თანამშრომლობა ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების შემუშავებასა და ექსპერტულ შეფასებაში.

მუხლი 2. მხარეთა მოვალეობები

- 2.1. აკადემია (და მასთან არსებული “სამეცნიერო-ტექნოლოგიური წინადადებების ექსპერტიზისა და მათი პერსპექტივების განმსაზღვრელი” და “საქართველოს მთიანეთის პრობლემათა კომპლექსური შესწავლის” კომისიები) და სამინისტრო ერთობლივად შეიმუშავენ საქართველოს მთის რეგიონში ინფრასტრუქტურის განვითარების კომპლექსურ გრძელვადიან პროგრამას.
- 2.2. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, აკადემია და სამინისტრო ერთობლივად შეიმუშავენ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, რაც მიზანმიმართულად შეუწყობს ხელს:
 - ა) დემოგრაფიული და სოციალური ვითარების გაუმჯობესებას;


- ბ) მყარი ნარჩენების მართვის პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას;
- გ) საავტომობილო გზების ქსელის განვითარებას;
- დ) წყლით მომარაგების სისტემების განვითარებას;
- ე) სტიქიური მოვლენების პრევენციისა და შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების განხორციელებას;
- ვ) ინფრასტრუქტურის სფეროში სამეცნიერო და ტექნოლოგიური პოლიტიკისათვის წინადადებების შემუშავებას.

მუხლი 3. მოქმედების ვადა

წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის ორივე მხარის ხელმოწერის შემდგომ და ძალაში რჩება, სანამ ერთი მხარე ორი თვით ადრე წერილობით არ შეატყობინებს მეორე მხარეს მისი შეწყვეტის შესახებ.


მხარეთა რეკვიზიტები

დავით ნარმანია
მინისტრი



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრო
მის.: ალექსანდრე ჯავახიშვილის გამზ. №12
0160 თბილისი, საქართველო
ტელ.: (+995 32) 251 01 00
ტელ.: (+995 32) 251 01 00
ვებგვერდი: www.mrdi.gov.ge

გიორგი კვესიტაძე
პრეზიდენტი



სსიპ საქართველოს მეცნიერებათა
ეროვნული აკადემია



მის.: შოთა რუსთაველის გამზ. №52
0108 თბილისი, საქართველო
ტელ.: (+995 32) 299-88-91
ფაქსი: (+995 32) 299-88-91
ვებგვერდი: www.scence.org.ge